

**ზეინკალ-სანტექნიკოსი 040676
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

ზეინკალ-სანტექნიკოსი ახორციელებს სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებს სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებზე, ამონტაჟებს წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემებსა და სანტექნიკურ მოწყობილობებს. ასევე აწარმოებს დაზიანებული სანტექნიკური გაყვანილობის მილებისა და მოწყობილობების რემონტს ან დემონტაჟს.

II. დასაქმების სფერო

ნებისმიერი სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულება, რომლის საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობების შიგა წყალსადენისა და წყალარინების სისტემების მშენებლობასთან. სამშენებლო-სარემონტო კომპანიები, სამრეწველო ობიექტები, ინდივიდუალურ მშენებლობები და მუნიციპალური სისტემების მომსახურები.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ზეინკალ-სანტექნიკოსის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (III, IV და V) და თითოეულ საფეხურისთვის შემუშავდება შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 35 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ზეინკალ-სანტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 50 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ზეინკალ-სანტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

ზეინკალ-სანტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ზეინკალ-სანტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის შენობების შიგა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები, ჰიდროინჟინერიის სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ცნებები, ფაქტები, პრინციპები, პროცესები და ზოგადი კონცეფციები. აცნობიერებს ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპებს, სანტექნიკური არმატურის, მოწყობილობებისა და დანადგარების მოწყობისათვის საზეინკლო სამუშაოების გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს საზეინკლო და სანტექნიკური სამუშაოების ჩატარებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია სანტექნიკური სამუშაოების პროცესებში გამოვლენილ განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი დამოუკიდებლად შეფასება და ანალიზი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია შენობების შიგა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ფუნქციონირებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებზე. ეფექტიანად იყენებს სანტექნიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად შენობების შიგა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების შემადგენელი ელემენტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური უსაფრთხოების წესების, საზეინკლო სამუშაოების გააზრება და შესწავლა. წინასწარგანსაზღვრული ამოცანების ფარგლებში მომავალ სწავლა-განათლებაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს შენობების შიგა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების შემადგენელი ელემენტების ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელი ეკოლოგიური და ტექნიკური ღირებულებების შესაბამისად. გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობის უნარი. იცავს გარემოს ეკოლოგიური თვალსაზრისით. ფლობს უსაფრთხოების წესებს.</p>

ზეინკალ-სანტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით იცის შენობების შიგა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ფუნქციონირება, ჰიდროინჟინერიის სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ცნებები, ფაქტები, პრინციპები, პროცესები და ზოგადი კონცეფციები. აცნობიერებს ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპებს, სანტექნიკური არმატურის, მოწყობილობებისა და დანადგარების მოწყობისათვის საზეინკლო სამუშაოების პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია საზეინკლო და სანტექნიკური სამუშაოების ჩატარებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სამუშაოების დაგეგმვა და შესრულების პროცესში იყენებს სანდო ინფორმაციის წყაროებს. შეუძლია დავალებების შესასრულებლად შეაფასოს სხვადასხვა მიდგომები, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები. შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია შენობების შიგა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ფუნქციონირებისას სანტექნიკური სამუშაოების წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია შენობების შიგა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ფუნქციონირებასთან და ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეუძლია დამოუკიდებლად ათვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიული ინფორმაციის დამუშავება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია შენობების შიგა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების შემადგენელი ელემენტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური უსაფრთხოების შესწავლა, მომავალი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება შენობების შიგა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების შემადგენელი ელემენტების ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელ ეკოლოგიურ და ტექნიკურ ღირებულებებს. იცავს პროფესიული ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმებს. ხასიათდება მაღალი პასუხისმგებლობით.</p>

ზეინკალ-სანტექნიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცის შენობების შიგა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები, ჰიდროინჟინერიის სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ცნებები, ფაქტები, პრინციპები, პროცესები და ზოგადი კონცეფციები. აქვს შენობების შიგა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მრავალმხრივი სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს სანტექნიკური საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს). ფლობს მეწარმეობის, ინფორმატიკისა და მენეჯმენტის საფუძვლებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია შენობების შიგა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ფუნქციონირების შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული შენობების შიგა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ფუნქციონირების პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გამოტანა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია შენობების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ფუნქციონირების შესახებ იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხიანი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>